საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/5130
30/06/2023

5130-21-2-202306301723

ფ/პ ჯაბა გილიგაშვილს
მის: მოსკოვის გამზირი, №13, ბინა №3
ელ. ფოსტა: Mantscho_80@yahoo.de

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №4660 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება გურჯაანის მუნიციპალიტეტში, სოფ. არაშენდაში ფ/პ ჯაბა გილიგაშვილის მიერ სამელიორაციო (სარწყავი) სისტემის მოწყობასა და ექსპლუატაციას.

დოკუმენტის თანახმად, „საქმიანობის სიახლოვეს ანალოგიური ფუნქციური დატვირთვის ობიექტის არსებობა არ დაფიქსირებულა, რომელიც დაგეგმილ საქმიანობასთან ერთად კუმულაციურ ეფექტს შექმნიდა. საჯარო მონაცემების გადამოწმებით (mepa.gov.ge; nea.gov.ge) ასევე დადგინდა, რომ საპროექტო ობიექტის სიახლოვეს არ არის დაგეგმილი ანალოგიური ფუნქციური დატვირთვის ობიექტის მოწყობა-ექსპლუატაცია“. გაცნობებთ, რომ აღნიშნული არ შეესაბამება ჩვენს ხელთ არსებულ ინფორმაციას. შესაბამისად, სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია მდ. იორზე არსებული წყალმომხმარებლების შესახებ. ამასთან, წარმოდგენილი უნდა იქნეს არსებული და დაგეგმილი წყალმომხმარებლების გათვალისწინებით კუმულაციური ზემოქმედების შეფასება მდ. იორზე ზემოქმედების კუთხით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE